საქართველოს

გეოგრაფია

9

მაია ბლიაძე, გია ჭანტურია, დავით კერესელიძე

მოსწავლის რვეული

ბაკურ სულაკაურის
გამომცემლობა

I თავი

გეოგრაფიული მდებარეობა

1. რომელ საუკუნეებში იყო საქართველოს ტერიტორიის ფართობი ყველაზე დიდი? (დაახლ. 145 ათასი კმ²):

ა. XIX-XX სს.
ბ. XV-XVI სს.
გ. XII-XIII სს.
დ. IX-X სს.

2. ააგე საქართველოს ტერიტორიის ცვლილების (ათასი კმ²) სვეტოვანი დიაგრამა ან გრაფიკი.



ძვ. წ. I ათ. II ნახევარი



ახ. წ. I-IV სს



IX-X სს



XIII საუკუნე



XVIII საუკუნის II ნახევარი



XX საუკუნე

3. შეისწავლე სახელმძღვანელოში მოცემული რუკა „საქართველო XIII საუკუნის დამდეგს“ და შეავსე ცხრილი:

საკუთრივ საქართველოს ტერიტორია	საქართველოს პოლიტიკური გავლენის ქვეშ მყოფი ქვეყნები

4. რა არის გამოსახული დიაგრამაზე?

ა. საქართველოს მოსახლეობის დინამიკა;

ბ. საქართველოს ტერიტორიის ფართობის ცვლილება;

გ. საქართველოს მხარეების ფართობები;

დ. საქართველოს სავაჭრო ბალანსი.



5. **სხვადასხვა ფერით აღნიშნე რუკაზე საქართველოს საზღვრები XIII და XXI საუკუნეებში.**



6. **მიუწერე რუკებს, ვისი მოგზაურობის მარშრუტებია გამოსახული:**

ა.



ბ.

გ.



დ.

7. გაიხსენე ქართველ მოგზაურთა მარშრუტები და შეავსე ცხრილი:

მოგზაური	მოგზაურობის მარშრუტი

8. წაიკითხე ამონარიდი ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომიდან „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. დაადგინე, რა სახის გეოგრაფიულ ინფორმაციას იძლევა ნაშრომი და შეავსე ცხრილი:

ა. „ქალაქი ქუთაისი, რიონის გაღმა-გამოღმა, ჰავითა და წყლითა მშვენი, თვალთა ქვეშე მშვენიერი ადგილია“.

ბ. „გორი – ადგილი მშვენიერი, წყალი კარგი, გარემოს აქვს ვენახნი და წალკოტნი მრავალნი“.

გ. „ტფილისი არს სამი ქალაქი: ტფილისი, კალა და ისანი. ჰყოფს მტკვარი“.

დ. „საწირეს (ტყიბულთან) ითხრება რკინა და არს ლითონი მრავლად“.

ე. „ბრილს (ხაშურთან) ითხრება კაჟი, ფრიად კეთილი, მოსპეტაკო, ჩახმახისათვის“.

ვ. „კაცნი (ჭანები) არიან ხელოვანნი, ხის მუშაკობითა და შენებითა ნაკთათა დიდთა და მცირეთა“.

ზ. „არს მოზღუდვილი მთიულეთი მთითა, ამის გამო მაგარი და შეუვალი არს, უვენახო, უხილო. მცირემოსავლიანი... წყალთა შინა კალმახი მრავალნი, ხორცი, თევზნი და ფრინველნი გემოიანნი“.

თ. „ქსანი არს სარგებლიანი მდინარე და თევზიანი“.

ი. „ტაშირს არს თაფლი მრავალი და სპეტაკი, ვითარცა თოვლი და უწყინარი“.

კ. „ატენს დგება ღვინო წარჩინებული“.

წყარო	ადგილის გეოგრაფიული მდებარეობა და აღწერილობა	კლიმატური და ჰიდროგრაფიული ინფორმაცია	ფლორისა და ფაუნის თავისებურებანი	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ადგილები	მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობა
ა.					
ბ.					

გ.					
დ.					
ე.					
ვ.					
ზ.					
თ.					
ი.					
კ.					

9. ევროპის კონტურულ რუკაზე სხვადასხვა ფერით აღნიშნე:

ა. ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნები;

ბ. შავიზღვისპირა ქვეყნები;

გ. აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნები.

10. ევროპის ფიზიკური რუკის გამოყენებით დაადგინე:

ა. როგორ უკავშირდება საქართველო ევროპისა და მსოფლიოს ქვეყნებს;

ბ. დაწერე, როგორია საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა შავიზღვისპირეთსა და ევროპაში (დაადგინე, ევროპის რომელ ნაწილში და შავი ზღვის რომელ მხარეს მდებარეობს საქართველო).

11. საქართველოს კონტურულ რუკაზე წითელი ფერით აღნიშნე სახელმწიფო საზღვარი და გაუკეთე წარწერები იმ გეოგრაფიულ ობიექტებს, რომელზეც ქვეყნის საზღვარი გადის. აღნიშნე უკიდურესი წერტილები და გეოგრაფიული ცენტრი.

12. სახელმძღვანელოში მოცემული დანართი 4-ის (ევროპის ქვეყნები) გამოყენებით:

ა. დააჯგუფე ევროპის ქვეყნები ფართობების მიხედვით და წარმოადგინე ცხრილის სახით:

დიდი ქვეყნები, < 300 000 კვ.კმ-ზე	საშუალო ქვეყნები 100000 კვ.კმ-დან 300 000 კვ.კმ-მდე	პატარა ქვეყნები 10000 კვ.კმ-დან 100 000 კვ.კმ-მდე	ჯუჯა ქვეყნები >10000 კვ.კმ-ზე

ბ. ცხრილისა და შენ მიერ შექმნილი ლეგენდის გამოყენებით ევროპის კონტურულ რუკაზე აღნიშნე ქვეყნები ფართობების მიხედვით (გამოიყენე ოთხი სხვადასხვა ფერი).

გ. დაადგინე, რომელ ჯგუფში მოხვდა საქართველო.

_____

_____

13. გამოიანგარიშე:

ა. პროცენტულად რას უდრის საქართველოს სახმელეთო და საზღვაო საზღვრების სიგრძეები?

_____

_____

ბ. პროცენტულად რამდენია საქართველოს ჩრდილოეთი, სამხრეთი, დასავლეთი და აღმოსავლეთი საზღვრების სიგრძეები? ააგე წრიული დიაგრამა.

_____

_____

_____

14. ჩასვი გამოტოვებული სიტყვები:

კავკასიას _____ ქედი ორ ნაწილად – ჩრდილოეთ კავკასიად ანუ_____ და სამხრეთ კავკასიად ანუ _____ ყოფს.

ჩრდილოეთ კავკასიაში ერთი სუვერენული სახელმწიფო _____ მდებარეობს, სამხრეთ კავკასიაში კი სამი სახელმწიფო _____, _____ და აზერბაიჯანი.

15. იპოვე სწორი პასუხი:

ა. საქართველოს ესაზღვრება ჩრდილოეთ ოსეთი, დაღესტანი, მთიანი ყარაბაღი და ჩეჩნეთი;

ბ. საქართველოს საზღვაო საზღვარი ორჯერ გრძელია სახმელეთო საზღვარზე;

გ. საქართველოს გასასვლელი აქვს შავ და კასპიის ზღვებზე;

დ. საქართველოს ხელსაყრელი სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობა აქვს.

16. რომელ სახელმწიფოსთან აკავშირებს როკის უღელტეხილი საქართველოს?

ა. თურქეთთან;
ბ. სომხეთთან;
გ. აზერბაიჯანთან;
დ. რუსეთთან.

17. კავკასიის ჩრდილო საზღვარი გადის:

ა. კუმა-მანიჩის ღრმულზე;
ბ. მდინარე თერგზე;
გ. მთავარ წყალგამყოფ ქედზე;
ბ. მდინარე ყუბანზე.

18. ჩასვი გამოტოვებული სიტყვები:

კავკასიის ჩრდილოეთი საზღვარი _____ ღრმულზე გადის, სამხრეთი საზღვარი კი პირობითია და მიუყვება სომხეთისა და _____